საჩივრების განხილვის პროცედურის საინფორმაციო ბუკლეტი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრის) მიზნებია:

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, გარე მექანიზმების განხორციელება და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა

2. მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა სწავლის, სწავლების, კვლევისა და დასაქმების მიზნით როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ

3. საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის კულტურის განვითარების ხელშეწყობა

4. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათ მიმართ ნდობის ამაღლება

ცენტრის მიზნებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, ცენტრის უფლებამოსილებაა განიხილოს საჩივრები.

ცენტრში საჩივრების განხილვა ხორციელდება 4 გზით:

1. სააპელაციო საჩივარი
2. განმცხადებლის მიერ შემოტანილი საჩივარი (საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ)
3. ექსპერტის საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივარი
4. ცენტრის თანამშრომლის საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივარი

1

სააპელაციო საჩივარი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს, უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საბჭოში საჩივრის წარდგენის გზით ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით.

სააპელაციო საჩივარი უნდა იყოს შედგენილი წერილობით და მასში აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი:

1. მიმართვა სააპელაციო საბჭოსადმი
2. სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა/ დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია
3. იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება
4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასახელება
5. მოთხოვნა
6. გარემოებები, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა
7. სააპელაციო საჩივარზე დართული დოკუმენტაციის ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის

რა შემთხვევაში არ განიხილავს სააპელაციო საბჭო საჩივარს

- გასაჩივრებული გადაწყვეტილება სასამართლოს წარმოებაშია
- სააპელაციო საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ
- გასულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა (ავტორიზაციის დებულების 26 პრიმა მუხლის მიხედვით)
- მოთხოვნილი საკითხის განხილვა სცდება სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებს

სააპელაციო საბჭო ვალდებულია სააპელაციო საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს საჩივრის მიღებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში

2 განმცხადებლის მიერ შემოტანილი საჩივარი

ვინ შეიძლება იყოს განმცხადებელი

ცენტრის საქმიანობიდან გამომდინარე, განმცხადებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი დაინტერებული მხარე: მოსწავლე, სტუდენტი(მათ შორის პროფესიულის სტუდენტი), საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი,მოწვეული პერსონალი, მასწავლებელი (პროფესიულის მასწავლებელი), კურსდამთავრებული, მეცნიერ-თანამშრომელი და ა.შ

რა ფორმით შეიძლება საჩივრის დარეგისტრირება

საჩივარი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მატერიალურად, განცხადების სახით ან/და ელექტრონულად,საჩივრის ცენტრის ელ ფოსტაზე გამოგზავნით - **info@eqe.ge**

რა უნდა იყოს მითითებული საჩივარში

- ცენტრის ოფიციალური დასახელება
- საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი
- იმ დაწესებულების დასახელება, რომლის სამართლებრივი აქტი ან ქმედება საჩივრდება
- საჩივრის შინაარსი, მოთხოვნა და გარემოება, რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა . ასევე თანდართული ნუსხაც არსებობის შემთხვევაში

საჩივრის განხილვის ვადაა 1 დან 3 თვემდე

3 ექსპერტის საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივარი

ექსპერტთან დაკავშირებული საჩივრის წარდგენა და შემდგომი პროცედურები გათვალისწინებულია "ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმინობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით"

ექსპერტის კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე წარმოება შეიძლება დაიწყოს განცხადების საფუძველზე ან/და ცენტრის ინიციატივით

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: ცენტრის დასახელება, განმცხადებლის ვინაობა და მისამართი, ექსპერტის სახელი და გვარი, მოთხოვნა, განმცხადებლის ხელმოწერა და წარდგენის თარიღი.

ანონიმური წერილები და შეტყობინებები ვერ გახდება წარმოების დაწყების საფუძველი !

საჩივარი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მატერიალურად, განცხადების სახით ან/და ელექტრონულად,საჩივრის ცენტრის ელ ფოსტაზე გამოგზავნით - **info@eqe.ge**

4

ცენტრის თანამშრომლის საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივრები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გაძლევთ შესაძლებლობას წარმოადგინოთ საჩივარი ცენტრის თანამშრომლების სავარაუდო გადაცდომასთან (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ან/და ეთიკის ნორმების დაცვასთან დარღვევასან) დაკავშირებით.

დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ცენტრის თანამშრომლის მიერ:

- შინაგანაწესის, ცენტრის დებულების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დარღვევა;
- სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა, გულგრილი დამოკიდებულება ან არაჯეროვნად შესრულება, მათ შორის, ცენტრში შემოსულ კორესპონდენციაზე პასუხის მომზადებისთვის განსაზღვრული ვადის დაუსაბუთებელი დარღვევა;
- იმ ქმედებების განხორციელება, რომელიც სცდება დასაქმებულის უფლებამოსილების ფარგლებს, მათ შორის, არაუფლებამოსილი პირის მიერ ცენტრის დოკუმენტზე ხელის მოწერა/გაგზავნა.

საჩივარი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მატერიალურად, განცხადების სახით ან/და ელექტრონულად,საჩივრის ცენტრის ელ ფოსტაზე გამოგზავნით - **info@eqe.ge**

წარმოსადგენი დოკუმენტაცია

განცხადება, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

- ცენტრის დასახელება;
- განმცხადებლის ვინაობა და მისამართი;
- მოთხოვნა
- განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
- განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

განცხადების განხილვის ვადა

განცხადების განხილვის ვადად განისაზღვრება ერთი თვიდან სამ თვემდე პერიოდი საკითხის სრულყოფულად შესწავლის მიზნებიდან გამომდინარე

საჩივრის განხილვისა და დისციპლინური პასუხიმგებლობის განსაზღვრის წესი განსაზღვრულია ცენტრის შინაგანაწესით.